87 წელი თქვენთან ერთად!

87 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს გამოვიდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედის, გაზეთ „ჩხარის კოლმეურნის“ პირველი ნომერი. გამოცემის 88-ე წელი.



„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი • გამოდის 1933 წლიდან • №20 {7025} 15 ოქტომბერი 2020 წელი • www. Terjola. gov. ge

გილოცავთ!

14 ოქტომბერი, სვეტიცხოვლობა

15 ოქტომბერი, მოწამეთობა



როგორი იქნება ხვალინდელი საქართველო?!

ეს შენზეა დამოკიდებული, ამას 31 ოქტომბერს საარჩევნო უბანში შენი მისვლა და ხმის მიცემა გადაწყვეტს!

საარჩევნოდ...

რაც თავი მახსოვს, თავის დროზე—საბჭოთა კავშირის ზეობისას და მის შემდეგაც, ადგილობრივი, რესპუბლიკური თუ იმ დროის საკავშირო დეპუტატების არჩევნები კომუნისტური აგიტაცია-პროპაგანდის წნეხის წყალობით ყოველთვის იყო მნიშვნელოვანი მოვლენა ქვეყნის ცხოვრებაში... (ყოველ შემთხვევაში ასე ჩანდა გარეგნულად. რედ).

არჩევნები თუ სახელისუფლებო ორგანოებისათვის წარმოადგენდა ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენას, მაშინდელი ამომრჩევლის უმეტესობისათვის მაშინდელივე კომუნისტური ერთმართველობის პირობებში ჩატარებულ არჩევნებს, ასეთივე დიდი მნიშვნელობა პრაქტიკულად არ ჰქონდა. ამომრჩევლის უმრავლესობამ კარგად იცოდა, რომ ვინც მმართველ, ანუ კომუნისტურ პარტიას სურდა, სწორედ ის გახდებოდა ხალხის რჩეული...

მუშაობდა ერთგვარი შიშიც იმისა, რომ თუ არჩევნებზე არ წავიდოდა, ამას ხელისუფლება არ აპატიებდა... და იყო გაჩაღებული საარჩევნო ციფრების შეჯიბრი მოძმე რესპუბლიკებში, ქალაქებსა თუ სოფლებში. არცთუ იშვიათად ეს ციფრები სასაცილო არადამაჯერებლადაც კი გამოიყურებოდნენ. „არჩევნებზე გამოცხადდა ამომრჩევლის 98%—დეპუტატობის კანდიდატს ხმა მისცა 98%-მა“. არ იყო იშვიათი ასეთი მაღალი ციფრების ოფიციალურად გაცხადება. ის კი არადა, ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში, ზოგჯერ, 99,98%-იანი შედეგებითაც წაიტრაბახებდნენ ხოლმე. შემდეგ და შემდეგ მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. სულ სხვა იყო პირველი მრავალპარტიული არჩევნები, რომელიც საქართველოს მმართველობაში ოპოზიციური, ზვიად გამსახურდიას პარტიის მოსვლით დასრულდა. ამ არჩევნებს დღესაც იხსენებენ, როგორც ერთ-ერთ თავისუფალს და დემოკრატიულს. თავისი გარკვეული პლიუსები საქართველოში შემდგომ წლებში დღემდე ჩატარებულ არჩევნებსაც ჰქონდათ, ქვეყანაში ხელისუფლების მშვიდობიანი გადაბარებაც კი მოხდა 2012 წლის არჩევნების შედეგებით, ანუ ძირითადში თანდათანობით წინ მივდივართ საპარლამენტო მმართველობის სრულყოფის გზაზე.

ამ მხრივ ახალი ეტაპია 31 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც ახალი პროპორციით ტარდება. კერძოდ, 120 მანდატი პროპორციული სიით და 30 მანდატი მაჟორიტარულით.

ჩვენ, „თერჯოლის“ წინა ნომრებში არაერთი ინფორმაცია გამოვაქვეყნეთ საარჩევნო თემებზე. გავაკეთეთ განცხადება საარჩევნო სუბიექტებისათვის სარეკლამოდ უფასო და ფასიანი რეკლამისათვის ფართების გამოყოფის შესახებ, დავბეჭდეთ საარჩევნო უბნების საზღვრები და ა.შ. ა.შ.

☞2

ფრთხილად, კორონავირუსი!!!

თერჯოლის მუნიციპალიტეტი

14 ოქტომბერი, 2020 წელი

დაინფიცირებული—46

კარანტინი, თვითიზოლაცია—214

გარდაცვლილი—0

მოგიწოდებთ, მკაცრად დავიცვათ კორონავირუსის გავრცელების საწინააღმდეგო ზომები და პრევენციის რეგულაციები!

ძლიერი ქარიანობა სავალალო შედეგით

ძევრელებს ქარი არ უკვირთ, მაგრამ ექვს ოქტომბერს ავისმომასწავებლად რომ გამოიქროლა, ისეთი—იშვიათად თუ ახსოვთ. არავინ არის ახლა იმის მნახველ-გამრკვევი სად და როგორ გაჩნდა ის ავბედითი ნაპერწკალი მიჯრით მცხოვრები მეზობლების კაკო და ალეკო აბულაძეების ეზო-კარი ცეცხლის ალში რომ გაახვია.

როგორც გვიამბეს, შემთხვევიდან 15 წუთში, თერჯოლის სახანძრო-სამაშველო სამსახური (ორი სახანძრო ავტომობილი სრული ეკიპაჟით) უკვე ებრძოდა გამძვინვარებულ ☞2

1☞ საარჩევნოდ...

რა სიტუაციაა ამ ეტაპზე თერჯოლის მუნიციპალიტეტში, როგორია საარჩევნო გარემო, როგორ მივალთ არჩევნების დღემდე და როგორ ჩატარდება თავად ხმის მიცემის პროცესი. ეს თემები არცთუ უსაფუძვლოდ აწუხებს დღეს ჩვენს ამომრჩეველს, მითუმეტეს იმ ფონზე, როცა ცენტრალური მასმედიის საშუალებებით ხშირად ცხადდება პარტიული აქტივისტებისაგან ჩადენილი ძალადობის ფაქტები, ურთიერთბრალდებები, არაკორექტული და უპასუხისმგებლო განცხადებები. საბედნიეროდ, ჩვენი მუნიციპალიტეტის სინამდვილეში ასეთი ფაქტები არ დაფიქსირებულა და ღმერთმა ქნას, რომ დარჩენილი პერიოდიც მშვიდად გავიაროთ 31 ოქტომბრის ჩათვლით.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ჩვენი შენიშვნები მაინც გვაქვს (ერთ-ერთზე იხ. გვ.3) და ეს მხოლოდ იმისათვის, რომ ჩვენთან ჩატარებული არჩევნები მართლაც რომ სამაგალითო იყოს მთელი ქვეყნის მასშტაბით...

***P.S.** „თერჯოლის“ ამ ნომერში საარჩევნოდ მკითხველს ვთავაზობთ რამდენიმე აუცილებელ ინფორმაციას.*

1. ვინ იყრის კენჭს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატობისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობისათვის.

მოკლე ინფორმაციები ამ კანდიდატებზე, რომლებიც რეგისტრაციაში ცესკომ მიმდინარე წლის ოქტომბერს გაატარა, იხილეთ „თერჯოლის“ მე-2 და მე-4 გვერდებზე.

2. რა არის აკრძალული არჩევნების დღეს?

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარის, ნინო ჯანელიძის ხელმძღვანელობით მორიგი სხდომა გაიმართა, რომელზეც დღის წესრიგით წარმოდგენილი ექვსი საკითხი განიხილეს.

საკრებულოს წევრებმა ცვლილებები შეიტანეს თერჯოლის მუ-

ნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 8 იანვრის № 2 დადგენილებაში.

ასევე მხარი დაუჭირეს მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N8 დადგენილებაში შესატან ცვლილებებს.

გარდა ამისა, ცვლილება შევიდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ “ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 24 ივლისის №7 დადგენილებაში.

ასევე მხარდაჭერილია საკითხი მუნიციპალიტეტში საჯარო მმართველობის რეფორმის განხორციელების ხელშეწყობისათვის, ელექტრონული სერვისების განვითარების მიმართულებით 2020-2021 წლის სამოქმედო გეგმის შესახებ.

საკრებულოს დეპუტატებმა სხდომაზე ასევე მხარი დაუჭირეს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის მ/შ-სათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის თაობაზე „ქ. თერჯოლაში, რუსთაველის ქ. N117-ში მდებარე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, სარგებლობის უფლებით საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისათვის გადაცემასა და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხისა და პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს განკარგულების პროექტს“.

სხდომას ესწრებოდა მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი მანუჩარ რობაქიძე შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან ერთად.

ძლიერი ქარიანობა სავალალო შედეგით

1☞

ხანძარს. მალევე გამოჩნდნენ და საქმეს შეუდგნენ ქუთაისელი მეხანძრეებიც, გულხელდაკრეფილი არც საშველად მოსული მოსახლეობა იყო, მაგრამ სამწუხაროდ სტიქიამ იძალა...

დაიწვა კაკო აბულაძის ორსართულიანი კაპიტალური საცხოვრებელი, ბოსელი მხვილფეხა პირუტყვთან ერთად და მსუბუქი ავტომობილი...

ცეცხლმა ალეკო აბულაძის პირუტყვის სადგომი და დამხმარე სათავსოც შთანთქა.

გაავებულ სტიქიას მთელი 3-4 საათის განმავლობაში ებრძოდნენ მეხანძრეები. მათ დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ ხანძარს გზა არ გაეკვლია მიმდებარე საცხოვრებელი სახლებისაკენ.

დასანანია და ვწუხვართ მომხდარის გამო.

გულწრფელად ვუთანაგრძნობთ დაზარალებულ ოჯახებსა და მთელ სოფელს მოულოდნელად თავს დატეხილი უბედურების გამო.

ვიმედოვნებთ, არ მიეცემიან სასოწარკვეთილებას. ერთად დგომითა და ერთობლივი ძალისხმევით აღადგენენ დაკარგულს.

ამასთან ერთად, კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სწორედ მაშინ არის საჭირო განსაკუთრებული სიფრთხილე, როცა სტიქია გვიტევს.

როგორც თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში გაგვიცხადეს, ისინი შესაძლებლობის მაქსიმუმს გააკეთებენ ხანძრისაგან დაზარალებულთა ფინანსური და მატერიალური თანადგომისათვის.

ნ. იშხნელი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობისათვის ოთხი კანდიდატი დარეგისტრირდა, №21 მაჟორიტარული ოლქის (ზესტაფონი—თერჯოლა—ტყიბული—ბაღდათი) დეპუტატობის კანდიდატად კი 19

ამ დღეებში ჩვენ შევხვდით და ვესაუბრეთ თერჯოლის №49 საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ქალბატონ ნაზი სირაძეს, რომელმაც ბევრ საინტერესო კითხვაზე გაგვცა პასუხი. მან გვითხრა, რომ 31 ოქტომბრის არჩევნებისათვის მზადება განსაკუთრებული ყურადღების ქვეშაა. ამ დღისათვის უკვე მზადაა ყველა საუბნო-საარჩევნო კომისია, ჩატარდა არაერთი ტრენინგი, საარჩევნო უბნებზე ზუსტად იქნება დაცული კოვიდპრევენციისათვის დადგენილი რეგულაციები და სხვა.

კომისიის თავმჯდომარემ აქვე მოგვაწოდა ინფორმაცია თუ ვინ იყრის კენჭს №21 მაჟორიტარული საარჩევნო ოლქის (ზესტაფონი—თერჯოლა—ტყიბული—ბაღდათი) დეპუტატობისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობისათვის.

მან განაცხადა: „2020 წლის 31 ოქტომბრის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის რიგგარეშე არჩევნებში მონაწილეობის მიზნით მოგვმართა ოთხმა საარჩევნო სუბიექტმა. ჩვენს მიერ დარეგისტრირდა წარმოდგენილი ოთხივე კანდიდატი: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“—**ვალერი ბოჭორიშვილი,** „ლელო-მამუკა ხაზარაძე“—**ნიკა მემანიშვილი,** „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“—**ლაშა გოგიაშვილი,** „ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია—ევროპული საქართველო—მოძრაობა თავისუფლებისთვის“—**როლანდი მესხი“** (იხ. გვ.4 უფასო პოლიტიკური რეკლამა).

ამასთან, ჩვენი ამომრჩევლები 31 დეკემბერს გადაწყვეტენ თუ ვინ იქნება მათი რჩეული საქართველოს პარლამენტში: ამ მაჟორიტარულ მანდატს თერჯოლაში ერთმანეთს შეეცილება 19 კანდიდატი.

№21 მაჟორიტარი საარჩევნო ოლქის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები

საარჩევნო ოლქის საზღვრები: ზესტაფონის, თერჯოლის, ტყიბულის, ბაღდათის მუნიციპალიტეტების გაერთიანებული ტერიტორიები. კანდიდატები განთავსებულია მათზე მინიჭებული ნომრების მიხედვით

ამ ეტაპზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, 2020 წლის ოქტომბრის არჩევნების მიმდინარეობის თაობაზე, ჩვენი ამ გაზეთის პირველ გვერდზე უკვე გამოქვეყნებულ წერილში (საარჩევნოდ...) გაუწყეთ. იმის გამო, რომ ცესკომ რეგისტრირებული კანდიდატების, პარტიების და ასევე რეგისტრაციაში გატარებაზე უართქმული პარტიების საბოლოო სიები 10 ოქტომბერს დადო თავის ვებგვერდზე, ჩვენი გაზეთის მზადებისა და მისი ბეჭდვის პროცესის სპეციფიური რეჟიმის გამო, დღევანდელ ნომერში მკითხველს ამ საკითხზე მხოლოდ ცესკოს მიერ გასაჯაროებულ ინფორმაციას ვთავაზობთ.

მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატები:

2 **გიორგი წერეთელი**—„ბაქრაძე, უგულავა, ბოკერია - ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“;

5 **კახა გეწაძე**— საარჩევნო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - გაერთიანებული ოპოზიცია „ძალა ერთობაშია“ ;

7 **გელა ჩივაძე**—„თამაზ მეჭიაური ერთიანი საქართველოსთვის“;

8 **ოთარ შაორშაძე**—„დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი - საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“;

10 **სამსონი გუგავა**— „შალვა ნათელაშვილი-საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ :

11 **ნოდარ ებანოიძე**— „მშრომელთა სოციალისტური პარტია“ ;

14 **თემურ გოგსაძე**—„ბეჟან გუნავა - ქართული არჩევანი“;

19 **დავით შალამბერიძე**—მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ჩვენი საქართველო - სოლიდარობის ალიანსი“ ;

20 **ლაშა ლილუაშვილი**—„საქართველო“ ;

21 **მურმან ნებიერიძე**—„თავისუფალი საქართველო (კახა კუკავა, გიორგი წულაია)“;

23 **გიორგი გვენეტაძე**— „ახალი ძალა“;

24 **დავით გიორგაძე**— „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“;

30 **მერაბ გიორგობიანი**— „შეცვალე საქართველო“;

41 **ბეჟან წაქაძე**—„ ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“;

44 **გიორგი ქუჩიშვილი**— „ლევან ჩაჩუა, გურამ ფალავანდიშვილი - ქართული იდეა“;

50 **ნინო მეფარიშვილი**—„პროგრესული საქართველო“;

51 **გიგა გაბრიჭიძე**—„ საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“;

55 **ანზორი ფორჩხიძე**— „ქართული მარში-ეროვნული მოძრაობა“;

56 **ანა ბიბილაშვილი**—„ლელო - მამუკა ხაზარაძე“.

არჩევნებში მონაწილეობა ჩვენი კონსტიტუციური ვალია!

არჩევნებში მონაწილეობა ყველა ჩვენგანის მოქალაქეობრივი ვალია. თუ ქვეყნის სვეტედზე შეგტკივა გული, მაშინ უნდა გაინტერესებდეს ვინ მოვა შენი ქვეყნის პარლამენტში და მთავრობაში, რა მიზნები და ამოცანები აქვს დასახული, ფიქრობს თუ არა ხალხის უკეთეს მომავალზე.

პირადად მე, მინდა ჩემი ქვეყანა ეკონომიურად და პოლიტიკურად წელში გამართული ვნახო, განსაკუთრებით თავდაცვის გაუმჯობესებაზე მინდა ზრუნავდეს მოსული ხელისუფალი. იმიტომ კი არა, რომ ომი მინდა ვინმესთან, არა, ბუნებით პესიმისტი ვარ, მაგრამ თუ შენი ქვეყნის საზღვრები მორღვეულია და შენ არ შეგწევს მისი დაცვის ღონე და უნარი, მაშინ ვერც კეთილდღეობაზე იფიქრებ და ვერც მომავალზე, ამიტომ მიმაჩნია პრიორიტეტად თავდაცვის უნარიანობის განმტკიცება და ამისათვის არავითარი სახსრები უნდა დავზოგოთ.

მეორე ადგილს განათლების სისტემის სრულყოფას დავუთმობდი. ასევე ვიზრუნებდი სოფლის მეურნეობის აღორძინებისათვის და გადამამუშავებელი საწარმოების ყველა მუნიციპალიტეტში თუ არა, რეგიონში მაინც აშენებისთვის, რათა გლეხმა თავისი ჭირნახული საიმედოდ დააბინაოს, წესრიგი და წესიერება უნდა დამყარდეს ყველგან და ყველა სფეროში, საამისოდ კი პოლიტიკური ნებაა საჭირო, პარლამენტი უნდა გახდეს კანონის დაცვის გარანტი ქვეყანაში.

აი, ამ პრიორიტეტის მომხრე ვარ და არჩევნებსაც ამის მიხედვით გავაკეთებ.

ზ. კირკიტაძე,
პენსიონერი

არჩევნების დღე - 31 ოქტომბერი, 2020 წელი

1. კენჭისყრის დღეს კენჭისყრის შენობაში აკრძალულია წინასაარჩევნო აგიტაცია. (45-ე მუხლის მე-11 პუნქტი)

2. აკრძალულია პარტიის მიერ დანიშნული საოლქო-საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა. (მე-19 მუხლის 61 პუნქტი)

3. აკრძალულია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის გამოწვევა. (29-ე მუხლის მე-9 პუნქტი)

4. აკრძალულია საარჩევნო სუბიექტის მიერ მისი წარმომადგენლის დანიშვნა / გამოწვევა / შეცვლა .(42-ე მუხლის მე-6 პუნქტი)

5. აკრძალულია კენჭისყრამდე 8 საათის განმავლობაში და კენჭისყრის დღის 20:00 საათამდე ტელევიზიისა და რადიოს ეთერში წინასაარჩევნო ფასიანი ან / და უფასო რეკლამის, საარჩევნო სუბიექტების პროგრამების განთავსება და გადაცემა, აგრეთვე საარჩევნო მიზნებისათვის ავტომატიზებული სატელეფონო ზარების განხორციელება და მოკლე ტექსტური შეტყობინებების გაგზავნა. (185-ე მუხლის მე-18 პუნქტი)

6. აკრძალულია არჩევნებთან დაკავშირებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება კენჭისყრის დღის 20:00 საათამდე, გარდა არჩევნების შესაძლო

მონაწილეთა და კენჭისყრის დღეს არჩევნების მონაწილეთა რაოდენობისა. (50-ე მუხლის მე-5 პუნქტი)

7. კენჭისყრის ფარულობის უზრუნველსაყოფად კენჭისყრის კაბინაში ფოტო და ვიდეოგადაღება აკრძალულია. (58-ე მუხლის მე-6 პუნქტი)

8. კენჭისყრის შენობაში ყოფნის უფლების მქონე პირებს, კენჭისყრის კაბინის გარდა, საარჩევნო პროცესისათვის ხელის შეშლის გარეშე, შეუძლიათ აწარმოონ ფოტოვიდეოგადაღება ცესკოს 2012 წლის 24 სექტემბრის №42 / 2012 დადგენილებით განსაზღვრული წესის შესაბამისად. აკრძალულია ისეთი ინფორმაციის ან მონაცემების ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება, რომელიც / რომლებიც, საარჩევნო კოდექსის შესაბამისად, არ განეკუთვნება საჯარო ინფორმაციას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს ფოტოვიდეოგადაღება ან დამუშავება გათვალისწინებულია საარჩევნო კოდექსით .(მე-8 მუხლის 25-ე პუნქტი, ცესკოს დადგენილება №42 / 2012)

9. 07:00 საათზე იხსნება საარჩევნო უბანი და ტარდება კენჭისყრის დაწყებამდე ჩასატარებელი პროცედურები. (61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები)

10. 08:00 საათზე იწყება კენჭისყრა კენჭისყრის შენობაში. (61-ე მუხლის მე-11 პუნქტი)

11. კენჭისყრის დროს აკრძალულია კენჭისყრის შენობის ჩაკეტვა, კენჭისყრის შეწყვეტა ან შეჩერება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია არჩევნების საყოველთაოობის, თანასწორობისა და ამომრჩეველთა ნების თავისუფალი გამოვლენის უზრუნველყოფა. (მე-60 მუხლის მე-2 პუნქტი)

12. გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 09:00 საათიდან და სრულდება 19:00 საათზე. გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანში უნდა დაბრუნდეს არა უგვიანეს 20:00 საათისა. (66-ე მუხლის პირველი პუნქტი)

13. საუბნო საარჩევნო კომისია რეგისტრაციაში ატარებს იმ ამომრჩეველს, რომელმაც კანონით დადგენილ ვადაში ვერ გაიარა რეგისტრაცია, არჩევნებში მონაწილეობის მიღების მოთხოვნით კენჭისყრის დღეს მიმართა საარჩევნო ადმინისტრაციას და წარადგინა შესაბამისი დოკუმენტები (საქართველოს მოქალაქის პასპორტში ჩანაწერი საზღვრის გადაკვეთის შესახებ, ცნობა სტაციონარული სამკურნალო დაწესებულებიდან, პენიტენციური დაწესებულებიდან გათავისუფლების ცნობა). შესაბამისი საუბნო საარჩევნო კომისია ამომრჩეველთა სიებს დაურთავს დოკუმენტების ფოტოასლებს. (31-ე მუხლის მე-12 პუნქტი)

14. საუბნო-საარჩევნო კომისიის მდივანი ვალდებულია კენჭისყრის დღეს ორჯერ, 12:00 საათსა და 17:00 საათზე, გადათვალოს ამომრჩეველთა სიაში კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობა და ეს რიცხვი შესაბამისი დროის მინიშნებით შეიტანოს საუბნო საარჩევნო კომისიის სადემონსტრაციო ოქმსა და ჩანაწერთა წიგნში. (65-ე მუხლის მე-6 პუნქტი)

15. კენჭისყრის შენობა იკეტება 20:00 საათზე. ამ დროისთვის რიგში მდგომ ამომრჩევლებს შეუძლიათ ხმის მიცემა, რისთვისაც საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის დავალებით კომისიის ერთ-ერთი წევრი აღრიცხავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა გვარებსა და სახელებს, მათ რაოდენობას აცნობებს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, ხოლო კომისიის მდივანი ჩანაწერთა წიგნში აღნიშნავს რიგში მდგომ ამომრჩეველთა რაოდენობას. (65-ე მუხლის მე-8 პუნქტი)

17.კენჭისყრის დღეს საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში და ძნელად მისადგომ ადგილებში შექმნილ საარჩევნო უბნებში საუბნო საარჩევნო კომისია კენჭისყრას დამთავრებულად აცხადებს 20:00 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა. (მე-60 მუხლის მე-6 პუნქტი)

18. საუბნო საარჩევნო კომისია ვალდებულია კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის ფოტოასლი დაუყოვნებლივ, ოქმის შევსებისთანავე, თავის ხელთ არსებული ტექნიკური საშუალებებით გაუგზავნოს ცესკოს.(71-ე მუხლის მე-14 პუნქტი)

19. ცესკო ვალდებულია უზრუნველყოს საარჩევნო კოდექსის 71-ე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრული ოქმის საჯაროობა, მათ შორის, მისი დაუყოვნებლივ ცესკოს ვებგვერდზე განთავსებით. (76-ე მუხლის მე-8 პუნქტი)

20. საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელეებს ეკრძალებათ არჩევნების წინასწარი შედეგების შესახებ განცხადების გაკეთება, თუ ეს შედეგები სათანადო წესით არ არის გამოქვეყნებული ცესკოს ვებგვერდზე. (76-ე მუხლის მე-4 პუნქტი).

როგორი იქნება ხვალინდელი საქართველო?!

ეს შენზეა დამოკიდებული, ამას 31 ოქტომბერს საარჩევნო უბანში შენი მისვლა და ხმის მიცემა გადაწყვეტს!

„ცხენს ვერაფერი დააკლო, უნაგირი დაამტვრიაო“

საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადებაა მთლიანად ქვეყანაში და შესაბამისად ჩვენს მუნიციპალიტეტშიც, როგორც წესი საარჩევნო მარათონს თან ახლავს საარჩევნო აგიტაცია. სპეციალურად მოწყობილ ბანერებზე თუ საამისოდ გამოსადეგ ადგილებზე (მგზავრთა მოსაცდელები, შენობა-ნაგებობათა კედლები...) გამოიკრა პარლამენტის წევრობის იმ კანდიდატთა პლაკატები და ამონარიდები საარჩევნო პროგრამებიდან, რომლებიც შესაბამისი პარტიების მიერ არიან წარდგენილი. სამწუხაროდ, მავანი და მავანი თავის განწყობას მეტად უდიერად გამოხატავს, როგორც საარჩევნო პროცესის, ისე კონკრეტული კანდიდატურისადმი; ამის დასტურია ის ჩამოხეულ-გადახეული ფოტოპლაკატები, რომლებიც სხვას რომ თავი დავანებოთ, მეტად უსიამოდ ხვდება თვალს რაიონის მთელ ტერიტორიაზე. არ გვგონია ამ ავის მქმნელთა კულტურა და გონებრივი ჰორიზონტი მაღალი დონის იყოს, არც ის, რომ მათი უკეთური ნახელავი რაიმე გავლენას მოახდენს კანდიდატთა საარჩევნო შედეგებზე, მაგრამ თავისას რომ „ისწორებენ“ და ცუდ მაგალითს აძლევენ სხვებს ეს კი ძალიან საწყენი და საწუხარი.

ახლა დეპუტატობის და მერობის კანდიდატები შეხვედრებს მართავენ მოსახლეობასთან სოფლების მიხედვით, გამოდი შე კაი კაცო (დემოკრატია და სიტყვის თავისუფლება ახლა რომაა ისეთი უნდა) უთხარი გულახდილად რა არ მოგწონს ამ კანდიდატს, რა მტკივნეულ პრობლემებზე გინდა გაამახვილოს ყურადღება პარლამენტში თუ მერად არჩევისას. არა, ამის ვაჟკაცობა ვინ მისცა, მივა სხვა თვალისაგან დაფარულად და ჩამოხევს მის ფოტოპლაკატს. ისეა სწორედ სხარტულად რომაა ნათქვამი—„ცხენს ვერაფერი დააკლო, უნაგირი დაამტვრიაო“.

ი. ერაძე

P.S. საპარლამენტო არჩევნები და მუნიციპალიტეტის მერის არჩევნები სულ რაღაც ორიოდ კვირაში გაიმართება. გვინდა აქედანვე ვთხოვოთ პარტიათა მესვეურებს, კამპანიის დამთავრების შემდეგ, ჩამოხსნან თავ-თავიანთი კანდიდატის სააგიტაციო პლაკატები, გაასუფთაონ ადგილები ყოველგვარი საარჩევნო მასალებისაგან.

სხვათაშორის, ამას კანონიც გვავალდებულებს, რომელიც შეუსრულებლობის შემთხვევაში ჯარიმის დაკისრებას ითვალისწინებს.

რეპლიკა

კიდევ რამდენიმე დღეც, და...

კარგა გვარიანად გაიწელა დრო, მაგრამ ეს არჩევნებიც მოვიდა, რაღა დარჩა... ამ ყველაფერზე დროდადრო ჩვენი გაზეთი დაწვრილებით იუწყებოდა და იუწყება...

ამჯერად კი გთავაზობთ მოახლოებული, ამ დიდი, მართლაც რომ სახალხო პოლიტიკური რეფერენდუმის ამსახველ მავანთაგან დამახინჯებულ ფოტო-კადრებს, რომლებიც არ ეკადრება ჩვენს იმერულ, ჩვენს თერჯოლურ კულტურას.

დალოცვილო, თუ ვინმე არ მოგწონს არჩევნები რისთვისაა, იმ ყუთთან განმარტოებულს ვინ შეგიშლის ხელს შენი არჩევანი გამოხატო?

რატომ ვიჭრით თავს?

რა გვჭირს ამის ფასი?!

ნ. იმერლიშვილი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატები

უფასო პოლიტიკური
რეკლამის გვერდი

რიგითობა დაცულია კანდიდატზე მინიჭებული ნომრის მიხედვით

როლანდ მესხი



დაიბადა 1961 წელს თერჯოლის რაიონის სოფ. ნახშირღელეში. 1983 წელს დაამთავრა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

წლების განმავლობაში მუშაობდა ნავენახევის მღვიმის უფროს მეცნიერ-მუშაკად, სოფლის გამგებლად, რაიონის საკრებულოს თავმჯდომარედ. 2002-2004 წლებში იყო საქართველოს პარლამენტის წევრი.

2009-2012 წლებში ხელმძღვანელობდა გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის ზესტაფონი-თერჯოლის ფილიალს, საიდანაც ორჯერ იქნა დასახელებული საუკეთესო მენეჯერად. მისი უშუალო ინიციატივითა და ორგანიზებით მოხდა ქალაქ თერჯოლის 24 საათიან წყალმომარაგებაზე გადასვლა, რისთვისაც საქართველოს პრეზიდენტის მიერ დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

ჰყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილები.

ლაშა გოგიაშვილი



დაიბადა 1979 წლის 3 ნოემბერს. 2004-2009 წლებში სწავლობდა საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტში.

2002-2010 წლებში მუშაობდა სხვადასხვა კერძო ორგანიზაციაში, ხელმძღვანელ თანამდებობებზე. 2012-2017 წლებში იყო სსიპ „საქართველოს ფოლკლორის ცენტრის“ სამეურნეო დარგის მთავარი მენეჯერი. 2017 წლიდან 2020 წლის 31 მარტამდე იკავებდა ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის“ დირექტორის მოადგილის თანამდებობას.

2020 წლის აპრილიდან არის თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, მერის მოვალეობის შემსრულებელი.

ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

ვალერი ბოჭორიშვილი

დაიბადა 1972 წლის 25 დეკემბერს, ქალაქ თერჯოლაში.

სწავლობდა თერჯოლის მე-2 საშუალო სკოლაში. 1989 წელს დაამთავრა ქუთაისის ფიზიკა-მათემატიკური სკოლა, 1994 წელს თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საინჟინრო-ეკონომიკური ფაკულტეტი სპეციალობით „ეკონომიკა და მართვა მშენებლობაში“, შემდეგ, ამავე უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ სპეციალობათა ფაკულტეტი სპეციალობით სამართლისმცოდნეობა. დამთავრებული აქვს მოსკოვის საფინანსო აკადემიის სამხედრო-საფინანსო ეკონომიკური ფაკულტეტი სპეციალობით „ფულადი მიმოქცევის, კრედიტების და ბანკების მართვა“.

1994-2012 წლებში მუშაობდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მთავარ სამხედრო-საბიუჯეტო სამმართველოში სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე. იყო განყოფილების უფროსი, დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ფინანსების მართვის დეპარტამენტის უფროსი. 2012-2018 წლებში საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მდივნის თანაშემწეა საფინანსო-ეკონომიკურ საკითხებში, 2018-2020 წლებში მუშაობდა უცხოური საწარმოს (ხორვატია) ფილიალი სს „ინსტიტუტი IGH“ -ს პროექტის მენეჯერის მოადგილედ ფინანსურ დარგში, შემდეგ კი დირექტორის მოადგილედ.

ნიკა მემანიშვილი

დაიბადა თერჯოლის რაიონის სოფელ რუფოთში 1988 წლის 18 ივლისს.

დაამთავრა თერჯოლის რაიონის სოფელ ალისუბნის საშუალო სკოლა 2006 წელს.

დამთავრებული აქვს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, არის საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი. აქვს მეორადი სპეციალობა—საჯარო მმართველობა. არის საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი. ამჟამად ეუფლება სამართალმცოდნეობის სპეციალობას.

არის უფლებადამცველ-ანალიტიკოსი.

2009 წლიდან აქვს საზოგადოებრივ მოძრაობებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებში მუშაობის დიდი გამოცდილება. იყო საზოგადოებრივი მოძრაობა სტუდენტთა საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელი, ა.ა.ი.პ დამოუკიდებელ სტუდენტთა ასოციაციის, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა უფლებადამცველთა ასოციაციის, არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი თაობა უკეთესი მომავლისათვის“ - დამფუძნებელი და ერთ-ერთი ლიდერი.

ამჟამად არის საზოგადოებრივი მოძრაობა „ხალხის ხმის“ ხელმძღვანელი და არასამთავრობო ორგანიზაცია „უფლებადამცველთა ასოციაციის“ თავმჯდომარე.

სიმინდი—ძვირფასი და შეუცვლელი კულტურა

„ორმოცდასამი წლის ივლისის თბილი საღამო იყო. მამიდამ კოდი გადმოაპირქვავა გობზე, გვერდებზე ხელი მოუპარტყუნა და ასწია. გობზე ორი პეშვი ფქვილი ეყარა. მამიდამ ცხელი წყალი დაასხა ზედ და ცალი ხელით ზანტად დაუწყო ზელა, თავდაღუნული იჯდა გობთან და გაუთავებლად დიდხანს ზელდა ფქვილს, რომელიც თვალებში შესაყრელად არ ეყოფოდა კაცს. მე დავინახე უცებ, როგორ დაეცა გობზე ჯერ ერთი, შემდეგ მეორე კურცხალი...

—რა გადარდებს მამიდა?—ვკითხე, თუმცა მშვენივრად ვიცოდი, რაც ადარდებდა.

—ქაა სოსოია, მეტი არ არის, —თქვა მან და ხელისგულით მაჩვენა ცომი“.

ვინაა ისეთი ცხონებული ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“ რომ არ წაუკითხავს და გახსენდებათ ალბათ როგორ იღებს სკივრიდან სოსოია მამის ნაქებ ქურქს, ჩექმას და ნაბეღლავში მიაქვს სიმინდზე გადასაცვლელად.

ეს ხუთიოდე სტრიქონი იმიტომ მოვიგონე, რომ შემეხსენებინა მკითხველისათვის თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და შეუცვლელი საკვები იყო სიმინდი ყოველთვის, ყოველ დროში ქართველი კაცისათვის, რომ მან არა მარტო სამამულო ომის პერიოდში, არამედ თავისი არსებობის მანძილზე ბევრჯერ იხსნა ხალხი შიმშილისა და განადგურებისაგან.

მართალია სიმინდი, ჩვენთვის, ხორბალივით უძველესი კულტურა არ არის, მაგრამ იმდენად კარგად მოერგო ჩვენს გარემოს, იმდენი ადგილობრივი ჯიში გამოიყვანეს და ქვეყანაც იმდენჯერ გადაარჩინა გაჭირვებას, რომ შეუცვლელ კულტურად ჩამოყალიბდა. ქართველი გლეხის დამსახურებაა, რომ საუკეთესო სიმინდი გლეხური სელექციით გამოჰყავდათ და მიუხედავად იმისა, ქვეყანაში არაერთი ჰიბრიდული ჯიშის სიმინდი შემოვიდა, ტრადიციული ჯიშები მაინც ვერც ერთმა ვერ ჩაანაცვლა.

სადღეისოდ სიმინდი საქართველოს კუთხეებში 70%-ში მცირე ფართობებზე მოდის. ნაკლებმოსავლიან წელიწადში 150 ათას ტონამდე მოდის, კარგი მოსავალი კი 200, ზოგჯერ 250 ათას ტონასაც აჭარბებს. ქართული სიმინდის 30% იმერეთის წილად მოდის.

სიმინდი უნიკალური კულტურაა იმ მხრივ, რომ გვალვას უძლებს. მას საოცარი თვისება აქვს, სიცხეში ფოთლები იხვევა ისე, რომ მომჭკნარი გეგონებათ, სინამდვილეში ამას აკეთებს იმიტომ, რომ თავი დაიცვას ტენის აორთქლებისაგან. საღამოთი, როცა აგრილდება კვლავ გაიშლება და კიდევ ფოთლები ისეა განლაგებული თანმიმდევრულად, წვიმა თუ ღამით ცვარის ყოველი წვეთი პირდაპირ ძირში ფესვებთან ჩადის და უნარჩუნებს ტენს.

ჩვენი რაიონის სავარგულები, აქაური ნიადაგები, ძალიან კარგია სიმინდის კულტურის წარმოებისათვის, ამიტომ მას მუდამ დიდი წილი შეჰქონდა ეკონომიკის სიმტკიცის და ზრდა-განვითარებაში. თერჯოლაში არის ადგილები, რომელთაც სიმინდის ბეღელს ეძახიან: საცხენია, თხილიბარდი, ჟავეთა, მოლევი, შიმშილაქედი... თვით ისეთ მაღალმთიან სოფლებში, როგორიცაა გოგნი, თუზი, სეფარეთი სიმინდის შესანიშნავი მოსავალი მოჰყავთ. აღარაფერს ვამბობთ აჯამეთის მასიურ ფართობებზე, სადაც მეურნეებს სარეკორდო მოსავალი მოჰყავთ.

სიმინდი რომ გვალვაგამძლეა, ზემოთ უკვე ვთქვით. თუ რიგიანად მოუვლი, არ არსებობს წელი მან მოსავალი არ მოგცეს. თუ ბეღელში სიმინდი გაქვს შეიძლება დაწყნარებულად იყო, საკვები ხომ გაქვს და გაქვს, იყოლიე ფურები, ღორები, კრუხ-წინილა და ოჯახში დოვლათი დატრიალდება. სამწუხაროდ, ბოლო წლებში სიმინდის მოყვანა გაჭირდა და მოსავალიც შემცირდა. კლიმატის მკვეთრმა ცვლილებამ, გაუსაძლისმა და გაჭიანურებულმა გვალვებმა გლეხს ამ მხრივ, დიდი საფიქრალი გაუჩინა.

ნ. ჟოჩიაშვილი, ქ. თერჯოლა, ვეტერანი მეურნე. „ბავშვობიდან მოყოლებული დღემდე სიმინდი მომყავდა და ახლაც, 80 წელს მიახლოებულს, მოყავს. ადრეულ წლებში იმდენი მომყავდა ეზოში ვერ ვატევდი მოსავალს. ახლა შედარება აღარაა. ისე აირია კლიმატი, სიმინდსაც გაუჭირდა და მეურნე კაცსაც.

წელს კორონავირუსის გამო, შიმშილობა არ იქნესო, მე კი არა, ისეთებმაც დაამუშავეს ყანები, თოხი საერთოდ რომ არ ჭერიათ ხელში. უშველით ღმერთი,— ზემოდანაც ხელი გაგვიმართეს, სოფლის დახმარების პროგრამით სასუქები და შხამ-ქიმიკატები შევიძინეთ, დროულად დავხანით, დავთესეთ. კარგი იყო აღმონაცენი, ნორმალურად ვითარდებოდა სიმინდი და აი, ტაროზე რომ უნდა დაეწყო მუშაობა, დაიწყო გვალვები. გვალვა როგორ არ მახსოვს, მაგრამ ასეთი? 50^0 მიაღწია ტემპერატურამ, ზოგი ამბობს მეტი იყოო. ერთი თვე, მეორე... სადაა წვიმა, შეკრა ცამ პირი და დაიწყო სიმინდის ხმობაც. პირველი, მეორე, მესამე კი არა შუამდე გაუხმა ფოთლები. როგორც იქნა გაავდარდა და ახლა წვიმის გადაღებას არ დაადგა საშველი. სასწაულია პირდაპირ, აი, მკვდარი გაცოცხლდაო, რომ იტყვიან ეგრე მოხდა. წამოიდგა სიმინდმა წელი. შეწამლული გვქონდა ყველას სარეველების საწინააღმდეგოდ, მაგრამ არ იმუშავა წამალმა, გადარია წვიმებმა ბალახი. მაინც მოვიდა მოსავალი, ისეთი არა, როგორიც ნორმალურ პირობებში უნდა მოსულიყო, მაგრამ ხარჯი რომ აგინაზღაურა ესეც კარგია. ეჭვი მაქვს, მეც და სხვასაც, რომ არ იყო რიგიანი პრეპარატი. ბევრმა ბალახით გადავლილი ფართობიდან სიმინდი საერთოდ ვერ გამოიტანა. საჭიროა მკაცრი კონტროლი დაწესდეს შხამ-ქიმიკატებზე, რომლებიც სავაჭრო ქსელში იყიდება. გლეხი უხარისხო პრეპარატით არ უნდა დაზარალდეს.

ამასთან, ჩემი დიდი სურვილია გაგრძელდეს სოფლის დახმარების პროგრამები, უფრო მეტი ასიგნებანი ჩაიდოს სოფლის აღორძინებაში, ამ დალოცვილმა ბიზნესმენებმა კეთილი ინებონ და ჩადონ ფული სოფლის მეურნეობის კულტურების მოყვანაში, თავადაც იხეირონ და გლეხიც ახეირონ. სადაც შესაძლებელია უნდა ამუშავდეს მორწყვის სისტემები. თუ სოფელი წელში გაიმართება, ქვეყანასაც ეშველება. ამაზე დიდი საქმე კაცმა რა უნდა გააკეთოს.

ი. ერაძე

P.S. ჩვენ სხვა არაერთ მეურნეს გავესაუბრეთ, არა მარტო სიმინდის, არამედ სხვა კულტურების მოვლა-პატრონობის შესახებ, მაგრამ რადგან მოცემული ინტერვიუერის მიერ ძირითადი სათქმელი ითქვა, მათი მოყვანა საჭიროდ აღარ ვცანით.

მაია თორთლაძე: „ბაგა-ბაღები სასწავლო-აღმზრდელობითი პროცესისათვის მზად არიან“

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებისათვის 1 სექტემბერს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ გამოაქვეყნა ოფიციალური დოკუმენტი „ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული რეკომენდაციები ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებისათვის“. დოკუმენტში დეტალურად არის გაწერილი საბავშვო ბაღების მიერ დასაცავი რეკომენდაციები. გამოქვეყნებისთანავე თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალურმა ცენტრმა შეიმუშავა პანდემიის პირობებში საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა, რომელიც გაეცნო ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ოფიციალურ პირებს. „მუნიციპალურმა ცენტრმა“ სამოქმედო გეგმის მიხედვით დაიწყო საბავშვო-ბაღების მომზადება.

საბავშვო ბაგა-ბაღების დირექტორებთან შეხვედრაზე დეტალურად იქნა განხილული ახალი კორონავირუსის COVID-19 -ის პრევენციული ღონისძიებების შესახებ მიღებული დოკუმენტი, რომელიც გადაეცათ მათ სახელმძღვანელოდ და სამოქმედოდ. ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის პედაგოგიურმა და ტექნიკურმა პერსონალმა (471დასაქმებული) მიღებული რეკომენდაციების მიხედვით გაიარა მომზადება და მათ შეუძლიათ საბავშვო ბაგა-ბაღების გახსნამდე და გარდამავალ პერიოდში უსაფრთხო მუშაობის პროცედურებსა და ვირუსის გავრცელების პრევენციის შესახებ რეკომენდაციების დაცვა თავიანთ სამუშაო ადგილებზე. ოფიციალური დოკუმენტი ვრცელია, რომლის თითოეული პუნქტის მიხედვით მომზადდა თითოეული საბავშვო ბაგა-ბაღი, გამოვყოფთ ძირითადს, რომელთა შესრულება სავალდებულოა როგორც პედაგოგებისთვის, ისე მშობლებისთვისაც.

აკრძალვები

- ბაღში არ დაიშვებიან უცხო პირები, მათ შორის მშობლები.
- არ დაიშვებიან სიცხიანი და რესპირატორული სიმპტომების მქონე ბავშვები / პედაგოგები / ადმინისტრაცია.
- აკრძალულია სახლიდან სათამაშოების მოტანა.
- აკრძალულია ისეთი სათამაშოები, რომელთა რეცხვა და დეზინფიცირება ვერ ხერხდება.
- აკრძალულია ისეთი გასართობი ღონისძიებები, რომელიც ითვალისწინებს ბავშვთა დიდი ოდენობით თავშეყრას.
- აკრძალულია მისალმებისას ხელის ჩამორთმევა და სხვებთან შეხება.

ვალდებულებები

- ბაღის შესასვლელთან უნდა განხორციელდეს ბავშვების / პერსონალის / ტემპერატურის კონტროლი.
- რესპირატორული სიმპტომების გამოვლენისას ბავშვები მაქსიმალურად სწრაფად უნდა წაიყვანოს მშობელმა.
- მშობლის დროულად არ მოსვლის შემთხვევაში ბაღი უკავშირდება 112 -ს.
- ბავშვების გარდა, ყველა სხვა პირი დაიშვება მხოლოდ ნიღბით.
- ბაღმა უნდა უზრუნველყოს გარე სივრცეში ხანგრძლივად თამაშის ხელშეწყობა.
- ბაღმა უნდა იცოდეს, ბავშვს აქვს თუ არა ალერგია ალკოჰოლზე ან რომელიმე ისეთ ნივთიერებაზე, რომელიც შედის სადეზინფექციო სითხის შემადგენლობაში.
- სამზარეულოში ჭურჭელი უნდა გაივლოს არანაკლებ 65- C ტემპერატურის ცხელი გამდინარე წყლით და სარეცხი საშუალებების გამოყენებით

პერსონალი

- პერსონალი ვალდებულია სამუშაო პროცესი განახორციელოს დამსაქმებლის სამოქმედო გეგმის შესახებ.
- პერსონალი ვალდებულია დაიცვას პირადი ჰიგიენა.
- დღის განმავლობაში, როდესაც ბავშვები არ იმყოფებიან ოთახებში (მაგ. არიან ეზოში) უნდა მოხდეს სათამაშო და საძინებელი ოთახების დასუფთავება / დეზინფექცია და განიავება.
- დასუფთავებაზე პასუხისმგებელ პერსონალს დამატებით უნდა ჩაუტარდეს შესაბამისი ინსრუქტაჟი.
- სამზარეულოში მუშაობის დროს გამოყენებული იქნას ერთჯერადი ნიღაბი, თავსაბურავი და ხელთათმანი.
- სათამაშოები უნდა გაირეცხოს ყოველდღიურად წყლით, ჯაგრისით, საპნით ან საკვები სოდის 2%-იანი ხსნარით.
- მუშაობის პერიოდში პერსონალმა უნდა უზრუნველყოს თმის შეკვრა / მჭიდროდ დამაგრება, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმების სახის ზედაპირთან შეხება.

ეს არის მცირე ჩამონათვალი იმ წესებისა, რომელთა შესრულება მოუწევთ საბავშვო ბაღებს.

დოკუმენტში გაწერილია ასევე მოთხოვნები სამზარეულოსთვის, ჭურჭლის რეცხვის, სანიტარული კვანძის დასუფთავებისათვის, თეთრეულის რეცხვისათვის, ასევე დეზინფექცია დასუფთავებისათვის. თერჯოლის მუნიციპალურმა ცენტრმა მოახდინა საბავშვო ბაგა-ბაღების მომარაგება რეკომენდაციების მიხედვით გაცემულ მასალებზე. საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის შეძენილი იქნა: დეზობარიერი, უკონტაქტო ელ. თერმომეტრები, დისპენსერები, სადეზინფექციო ხსნარები, ერთჯერადი ხალათები, ქუდები და ხელთათმანები, ნიღბები, ფარები, წინსაფრები, ნაგვის ურნები, ჭურჭლის საწრეტები. სულ ღირებულებით - 20 000 ლარი.

***

აღნიშნული მასალებით მომარაგება გაგრძელდება ეტაპობრივად. თერჯოლის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაგა-ბაღებში წინა პერიოდებში შექმნილმა ჯანსაღმა მდგომარეობამ განაპირობა აღნიშნული რეგულაციების სრულყოფილი შესრულება. კერძოდ, 26 საბავშვო ბაგა-ბაღიდან 6 თანამედროვე სტანდარტებით არის აშენებული, 21- ნაწილობრივ რეაბილიტირებული; რეგულაციების შესაბამისად ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის სამზარეულოები, მზა და ნედლი პროდუქტების საწყობები რეაბილიტირებული, სურსათის შენახვა ხორციელდება სათანადო ტემპერატურის პირობებში (ბაღები უზრუნველყოფილია სამაცივრე ტექნიკით); 26 საბავშვო ბაგა-ბაღის 54 სააღმზრდელო ჯგუფის სანიტარული კვანძები რეაბილიტირებული, ცივი და ცხელი წყლით უზრუნველყოფილი და სათანადო პირადი ჰიგიენის ნივთებით აღჭურვილი. საბავშვო ბაგა-ბაღებს აქვთ საკუთარი თეთრეული (თეთრეულის რეცხვის ციკლი ხორციელდება ბაღებში, ყველა ბაღს აქვს სარეცხი მანქანა).

***

აღმზრდელ-პედაგოგები სასწავლო პროცესში შეიტანენ ისეთ აქტივობებს, რომელიც ბავშვებში კორონავირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებებისათვის საჭირო უნარ-ჩვევების განვითარება-ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს. ჯგუფის ოთახებში საბავშვო ინვენტარი განლაგდა დისტანციურად, შეიქმნა საინფორმაციო ბუკლეტები, რომელიც გამოკრულია ბაღში თვალსაჩინო ადგილზე. საბავშვო ბაღის ადმინისტრაციის მიერ ჩატარებული იქნა მშობელთა კრებები. მშობლებს მიეწოდათ ინფორმაცია რეგულაციებიდან გამომდინარე აკრძალვებზე და ვალდებულებებზე.

ყველა საბავშვო ბაგა-ბაღის შემოწმება განხორციელდა შრომის ინსპექციის მიერ 3-5 ოქტომბერს, მიღებული იქნა ყველა საბავშვო ბაგა-ბაღზე დადებითი დასკვნა.

თერჯოლის სკოლამდელი აღზრდის 26 საბავშვო ბაგა-ბაღის 54 სააღმზრდელო ჯგუფში, სადაც ჩარიცხულია 1112 აღსაზრდელი, დიდი ხნის ლოდინის შემდეგ, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესი არსებული რეგულაციების სრული დაცვით განახლებას 12 ოქტომბრისათვის ელოდა, მაგრამ იგი კვლავ გადაიდო..

მაია თორთლაძე,
სკოლამდელი აღზრდის მუნიციპალური ცენტრის ხელმძღვანელი

„შენ ხარ, ვენახი!“

ვაზი, ღვინო, საქართველო და ქართველი კაცი განუყოფელი ერთობაა. ამ ერთობას დასაბამი რამდენი ათასი წლის წინ დაედო, ზუსტად ეს ჯერ ვერავინ დაადგინა, მაგრამ მთელი ცივილიზებული სამყარო ერთხმად აღიარებს, საქართველო ვაზისა და ღვინის სამშობლოა და სწორედ საქართველოდან გავრცელდა ყურძნისაგან დამზადებულ-დაყენებული სითხის სახელწოდება—ღვინო...

დიახ, ქართული სახელდება—ღვინო, საქართველოდან მოედო მსოფლიოს, ისევე, როგორც ქართული სიმღერა... ვაზი ისეთივე გამძლეა, როგორც მეზვრის მარჯვენა, დაბეგილ-დაკოჟრილი შრომისაგან. ვაზს ზებუნებრივი ძალა შესძინა ზენაარმა. მას შეუძლია თავის სიდიადით ბოროტს კეთილი სული შთაბეროს, ანუ კეთილს გაამარჯვებინოს ბოროტსა ზედა, ყოველი ზეციური მიწაზე ჩამოიყვანოს და მიწის სუნი შეაგრძნობინოს.

ვაზია ის ძალა, ბოროტად გაავებულს სიბრძნე და მოთმინება რომ შთაბეროს და კეთილად მოაქციოს, მადლ-მირონიც აცხოს და ტაძრისკენ მიმავალი გზაც გაუკვლიოს...

საუკუნეთა მიღმა, უხსოვარ დროში, ჩვენმა წინაპარმა მაღალი სამლოცველო რომ ააგო—თეთრ კედელზე ვაზი ამოაჩუქურთმა სამზეო მხრიდან უხვად მტევნებდახუნძლული, ზედაც ლამაზი ქართულ მრგვლოვან-მთავრულით მიაწერა: „შენ ხარ ვენახი!“.

მერე და მერე, ათასმა ურჯუკმა ამაოდ სცადა ამოეფხიკა ქვაზე მხატვრულად მკვეთელის ნაოსტატარი.

„შენ ხარ ვენახი“, ვიმეორებთ ამ მზისა და ვაზის საგალობელს...

შენ ხარ ვენახი „შე მადლიანო შენა“... მახარაშვილივით გვიყვარს და ვესათუთებით ღმერთებისგან ჩვენთვის ნაჩუქარს...

შენ ხარ ვენახი, ვამბობთ კრძალვით და ჩვენი მადლიანი მიწის მარადისობას შევთხოვთ ზენაარსს.

შენ ხარ ვენახი, ფესვებძლიერი და უღალატო. შენგან გამოედინების „ღმერთების სასმელი“, რომელიც ქართულია და ღვინო ჰქვია!

გლოცავთ და გეფერებით...

შენ გაუძეხი ჩვენს სამშობლოს ძნელადსაკვლევ გზა-ბილიკებზე.

შენ ხარ ვენახი ჩემო იმედო, იარე ამერ-იმიერ თავისუფალმა და თავაწეულმა. მოუთხრე ყველას, რომ საქართველოა შენი დედასამშობლო, რომ შორეთიდან მოდიხარ, რათა მზემ ანათოს შენს სამშობლოს, რომ კვლავაც ისმოდეს შენი მრავალჟამიერი.

შენ ხარ ვენახი—ქართული ცის ნამმა და ქართული მიწის მადლმა გშვა შენ, ისევე, როგორც ქართული სიმღერა, ისევე როგორც ვეფხვებთან მეომარი ჭაბუკი...

ნუგზარ გამყრელიძე

სხვადასხვა დროს, ჩვენს გაზეთს არაერთგზის გამოუქვეყნებია მასალები ამ ამოუწურავ თემაზე. ბევრი საინტერესო გვაქვს მონათხრობი, როგორც უძველესი ისტორიიდან, ისე თანამედროვეობიდან, ჩვენი ფურცლებიდან არაერთი წარმატებული მეღვინე და მევენახე გაუცვნია ჩვენს მკითხველს, გვიამბია ღვინის ქარხნებზე, ღვინის დაყენების ტექნოლოგიებზე... ჩამონათვალი ბევრად მეტია, მაგრამ აქ შევჩერდებით... ამჯერად წლევანდელი შემოდგომის წიფობისთვის, „თერჯოლას“ ამ მეორე ნომერში გამოსაქვეყნებლად, სპეციალურად მოვიძიეთ თუ რას წერდნენ ცნობილი ადამიანები კარგად მოვლილ ვენახსა და ხარისხიან ღვინოზე...

გთავაზობთ ნაწყვეტს დავით კლდიაშვილის მოთხრობიდან „ქამუშაძის გაჭირვება“, სადაც მწერალს განსაკუთრებით კარგად აქვს აღწერილი, თუ როგორ აცნობს ახალ რძალს დედამთილი ოჯახის ქონებას და როგორ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ღვინის სიუხვესა და კარგ ვენახს. ღვინის მოყვარული ადამიანები ამ სიტყვებს ემოციის გარეშე ალბათ ვერ წაიკითხავენ:

—„აქანაი, შვილო, ჭურები გვაქვს, – ანიშნა მან ხის ქვეშ ყავრებით გადაფარებულ შეყრილ მიწაზე. ამ ყავრებს უნდა დაეფარა, რომ წვიმის დროს წყალი არ ჩასულიყო ჭურებში... – იცოცხლე, შვილო, ამ ჭურებში შარშან ღვინოები ჩაისხა!.. საპალნე რატომ ოცი მანეთიც არ ღირდა, ისეთი რამ მშვენიერი იყო... აძლიეს კიდევაც თექვსმეტი მანეთი, მეტსაც მისცემდნენ, მარა არ შეელია... ძნელი შესალევია, შვილო... კაი ღვინო ოჯახის დამამშვენებელია... წრეულსაც, იმედია, ღმერთი უფრო უკეთესს მოგვცემს... ღვთის მადლით, ვენახი კარგი გვაქვს, თუ არა შენი ლამაზი თვალებით ნახავ ეხლავე... ისეთი მტევნები ასხია, თითოსაგან რატომ ბოთლი ღვინო არ გამოიწურება...

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ეკვირინემ მაინც არ ჩაახედვინა რძალს სასიმინდეში, ქვეით ჩაატარა და ვენახში გადაიყვანა. ეს ადგილი, სულ ცოტა რომ ვთქვათ, იქნებოდა ნახევარი ქცევა. ვენახი კარგად გამოწმენდილი და მოვლილი იყო; ფოთოლზე ეტყობოდა, რომ ნაწამლიც იყო შაბიამანით; აქა-იქ ფილოქსერის ნამოქმედარიც ეტყობოდა – ამოჭმულივით იყო გამხმარი ვაზის ამონათხარ ადგილებზე. ვაზს მართლა კარგად ესხა, მარცვალიც კარგი იყო, მაგრამ ერთის კი არა, ვერც ოცი მტევნის გამონაწური გაავსებდა ბოთლსა, რადგან მტევნები პატარები იყო.

– ოჰ, რა ღვინო იცის ამან, რა ღვინო! ამას შეხედე ერთი! რას ჰგავს, რას! – აღტაცებითო გაიძახოდა ეკვირინე. – მე და დედაშენი ერთი ისე თავისუფალ დროს, ცალკე, უნდა დავთვრეთ ამის ღვინით, ჩემო სონია! უსათუოდ, ხა, ხა, ხა! – გადიხარხარა მოხუცებულმა – და შენც, შენც ჩვენთან... – შენც უნდა გამოიმეტო თავი!”.

საინტერესო მოსაზრებები აქვს ღვინის ფენომენზე მწერალ გურამ დოჩანაშვილს, რომელიც არაერთხელ საუბრობს ამის შესახებ თავის შემოქმედებაში.

—„არის რაღაც საერთო ღვინის სმასა და კითხვას შორის, მე მგონი ის, რომ ორივეს ეგრეთწოდებული პიროვნების თავისუფლებასთან მივყავართ, ოღონდ ერთი—მიშვებული, აგდებული და ულამაზო თავისუფლებაა, უპასუხისმგებლობით გამოწვეული, მეორე კი—შემართებული, გამოცდილი, და ყოვლისშემძლე ამამაღლებელი გესმით? ოო, რა სიამოვნებით გამოვამწყვდევდი ლოთებს ჩემს კარცერ-ლუქსში, რადგან თავისუფლებისადმი გარკვეული მისწრაფება აქვთ“. („სამოსელი პირველი“).

„—ვინც ხორცს არ გეახლება, გერასიმე, იმისთვის – კი. და, თუ არ გეწყინება, მე ღვინოს დავლევ.

–რატომ...

– გამათამამებს შამპანური. თანაც, მივეჩვევი და... ვინ დამალევინებს მერე.

ფუჰ, უპირატესობა ხელიდან მეცლებოდა. გუნება გამიფუჭდა და, რაღაცნაირად, მეუხერხულებო და კიდეც წიწილის კვნეტა, მარტო კაცი ჭამაშიაც ცოდოაო, გაგიგიათ, ალბათ... მაგრამ უკანდახევა არ მჩვევია, ჭიქა ავწიე:

– გაუმარჯოს ყველაფერ კარგს, რაც ქვეყანაზე არის.

– ერთი ჭიქით სვამ ამას, გერასიმე? – გაკვირვებული შემომცქეროდა.

– ჰა, ორით იყოს, – ვთქვი და მეორე ჭიქაშიც ქაფის უნაზესი ვულკანი ამოვიყვანე, კარგია შამპანური, ვენაცვალე მას“, - („ერთი რამის სიყვარული, დაფარვა რომ სჭირდება ანუ მესამე ძმა კეჟერაძე“).

—„ძვირფასო ყრმაო, ერთიც შესვი ეს ამოდსურნელოვანი ღვინო და, ეგ შავადნაგები მწუხარება უხვწყლოვან ზღვაში ხელუკუღმა ნასროლი ფერფლივით განგიქარდეს ეგებ, მაგრამ ვეჭვ და ვეჭვ, უპურკეთილოდ ამოდსაცქერი ყოფილიყოს ეს ჩემი მცირედნაგები ტაბლა, მომიტევე რომ, არ მომეძევება ნელინელ ცეცხლზე უზადოდ გამომცხვარი ახლოდსაჩინარი პური“. („მხოლოდ ერთი კაცი“).

—„ნახევრად ჩაბნელებულ სარდაფში ტევა არ იყო. ჰაერი მაგარი ღვინის სუნით იყო გაჟღენთილი. ყველანი მთვრალები იყვნენ, ქართული ხელგაშლილობით ხარჯავდნენ მთელი დღის გასამრჯელოს. ჩახლეჩილი ხმით ადღეგრძელებდნენ ერთმანეთს და ღვინო სუფრაზე იღვრებოდა. ღვინის

სუნით გაჟღენთილი ჰაერიც კი მთვრალივით ეპოტინებოდა სანთლებს, სანთლის ალიც მთვრალივით ბარბაცებდა და მკრთალი სინათლე დაბორიალობდა აწითლებულ სახეებზე. ღვინით სავსე თასებში ნაკვერჩხლები ტივტივებდნენ და შიგ გაკვირვებით იცქირებოდნენ მსმელები.

- ღვინო გამოგველია, ბეგო!

ყველა სვამდა – ზოგი ხარბად, ზოგიც ვაი-ვაგლახით. დახლში მედუქნე ბეგო იდგა და ყველს გულგრილად ჭრიდა. იგი შეჩვეული იყო ღვინისა და თამბაქოს სუნს, მთვრალების ყაყანს; როგორც კი მოიცლიდა, დახლიდან გამოდიოდა და ერთ-ერთ კედელთან ამოდიოდა. იქ, სამფეხა სკამზე, კაცი იდგა და პირდაპირ კედელზე ხატავდა. რამდენიმე ლამფა ანათებდა კედელს, სადაც უკვე მაგარი სმა იყო გახურებული: სუფრას ოთხი კაცი შემოსხდომოდა, ტყუპებივით ჰგავდნენ ერთმანეთს. ორ მათგანს ყანწი ეჭირა, მაგიდის წინ დიდი ტიკი ეგდო, რა გამოლევდა ღვინოს, მოქეიფეებთან მეარღნე იდგა, კრიალა ჩექმები ეცვა, საქმიანად ატრიალებდა არღანს”. („მთვარიანი ღამე“ - ფიქრები ფიროსმანზე).

მონათხრობი გოდერძი ჩოხელზე

(მწერლის დაბადების დღესთან დაკავშირებით)

მთის მიამიტი ფილოსოფოსი. ალალმართალი, დაფიქრებული და დარდიან-სევდიანი... წინაპართა წმიდა საფლავებიდან ამოღწეული სულებით რომ გვიამბობს მარადიული საუფლოს ცხოვრებას, მის ადათებსა და ზნე-ჩვეულებებს...



გოდერძი ჩოხელი—სამშობლოთი მთვრალი და ატირებული.

გოდერძი ჩოხელი—მთის ყვავილივით ნაზი და მგრძნობიარე.

გოდერძი ჩოხელი—ამაყი გუდამაყრით და აცრემლებული მასთან გაყრით.

„ბინდისფერი ხეობიდან ცამდე“—ასე ჰქვია მის სქელტანიან კრებულს, რომელმაც სრულად ჩაიტია მწერლისა და კინოსცენარისტ-დამდგმელ-რეჟისორის შემოქმედება.

დიდი ვაჟა-ფშაველას შემდეგ გოდერძი ჩოხელმა ყველაზე მეტად გვაგრძნობინა მთის სუფთა ჰაერი—„შვლის ნუკრის ნაამბობიც“ ხელახლად წაგვაკითხა და „ყვავ-ყორნებთან მეომარი დაჭრილი არწივის“ ამბავიც გაგვახსენა...

გოდერძი ჩოხელი „ბინდისფერი ხეობიდან ცამდე ამაღლდა“,

მთის ნიავი თან ახლდა...

მისმა ნათქომმა მთის კილოზე—

ოსკაროსან კინოზე,

ია-იებზე, ფურუსულებზე—

კლდის ქარაფებზე ამოსულებზე,—

გრძნეულ სულებზე—

ფიქრით დამღალეს...

საფლავების ქვებზე წარწერების კითხვით დამღალეს!..

მის ნაამბობს ვუსმენ ზღაპარს,

მარად ჩაუქრობელ ლამპარს,

გოდერძი ჩოხელის მონათხრობს და

ზემიწიერი ძალა გთხოვს: „ნუ ეძიებთ საფლავს თამარ დედოფლისას, იგი დამბადებელმა ხელში აიყვანა და მზის სხივად აქცია“...

გოდერძი ჩოხელმა ისიც წამაკითხა, რომ, თურმე გუდამაყრელები მთაში პაწია ლამაზ, მოცისფრო ყვავილს „თამარის თვალებს“ ეძახიან...

არა, არ დამღალა გოდერძი ჩოხელის ნაწერების კითხვამ.

სხვა რამემ დამღალა და ამაფორიაქა.

გუდამაყარში, მთის ამაყ ხეობაში, გოდერძი ჩოხელის სოფელში დღეს ხუთიოდ კომლიღა სახლობს. ვაი, რომ ხვალ, ხვალ არა, ზეგ, ან თუნდაც მაზეგ იქ „სხვა გორისანი“ მოვიდნენ და დაესახლონ!?

მზარავს გაფიქრება—ის სხვა გორისანიც თამარის თვალებს სიყვარულით ჩაიკრავენ გულში მთის პატარა მოცისფო ყვავილს?

აი, რაზე ვფიქრობ, აი, რა მაწვალებს.

პაწია, ლამაზ, მოცისფრო ყვავილს ვინ შეაჩნევს? ფეხს ხომ არ დაადგამს ვინმე?

გუდამაყარი.

მთის ცხრაკლიტული ციხე მაგარი,

გულჩათხრობილი ქრისტეს ჯვარივით,

ქრისტეს ჯვარივით სუფთა...

ერთი ამოსუნთქვასავითაა გოდერძი ჩოხელის მინიატურა—„წინაპრები“:

„როგორ წარმოგიდგენია სული? როცა ქართულ, ხალხურ სიმღერას ვისმენ, თითქოს წინაპრების სულს ვხედავ ერთად შეკრულს, ზეცისკენ მიმავალს... მთავრდება სიმღერა და—ისევ მიწაზე ვენარცხები...“

გოდერძი ჩოხელის სული კარგახანია წინაპრების სულს შეუერთდა. ისინი ახლა ერთად არიან.

გუდამაყრელები გოდერძი ჩოხელის სულზე ლოცულობენ.

გოდერძი ჩოხელმა საოცარი შემოქმედება დაგვიტოვა.

როგორ მოასწრო?

ეს სხვა თემაა.

მოკლე ბიოგრაფია კი ასეთია:

1954 წლის 2 ოქტომბერს დუშეთის რაიონის სოფელ ჩოხში დაიბადა. რვაწლიანი სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლობდა ფასანაურის საშუალო სკოლაში. 1972 წელს ჩააბარა შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში ჯერ კინომცოდნეობის, ხოლო 1974 წლიდან—კინოსარეჟისორო ფაკულტეტზე, რომელიც 1979 წელს წარმატებით დაასრულა. იმავე წელს მიიღეს კინოსტუდია „ქართულ ფილმში“ დამდგმელ რეჟისორად, 1980 წლიდან კინემატოგრაფისტთა კავშირის წევრი, ხოლო 1981 წლიდან მწერალთა კავშირის წევრი იყო. მისი მოთხრობები 1997 წლიდან იბეჭდებოდა ჟურნალ-გაზეთებში.

1980 წელს გამოცა პირველი წიგნი „წერილი ნაძვებს“, რომელსაც წლის საუკეთესო წიგნის პრემია მიენიჭა. შემდეგი იყო ლექსებისა და მოთხრობების კრებულები. გოდერძი ჩოხელის წიგნები თარგმნილია უცხო ენებზე. მის მიერ გადაღებულ კინოებს საერთაშორისო ფესტივალებზე არაერთგზის აქვთ მიღებული გრანპრი და სხვა ჯილდოები.

გოდერძი ჩოხელი „ბინდისფერი ხეობიდან“ გვიცქერის, სამშობლოთი ატირებული და ცრემლიანი გოდერძი ჩოხელი...

სტრიქონები

—მთებს მხოლოდ შორიდან აქვს „ფერი დაბინდულ ქლიავის“.

—მთაში მცხოვრები მოხუცისთვის გაუგებარია—„რამ გადარიათ“ ეს უცხოელი ტურისტები.

—ნიჭი ადამიანისთვის ბუნების საჩუქარია, მაგრამ მას შალაშინი მუდამჟამს სჭირდება.

—გულწრფელობა ის „რაღაცაა“, რომელიც სიკეთის საკეთებლად გიბიძგებს.

—ენა ჭარტალებს ენაჭარტალები ენაჭარტალობისთვის დასცინიან.

—ქართული ენის გრამატიკა ხომ ურთულესია, წარმოიდგინეთ რა იქნება—ჩინური!

—ხშირად ვსაუბრობთ ხოლმე ამა თუ იმ წიგნის ავსა და კარგზე.

ხანდახან ისიცა ვთქვათ—როგორი მკითხველი ვართ!

—თუ მკაცრად მოვუწოდებთ იყოს „კარგი“—ამ საქმიდან საეჭვოა რაიმე სასიკეთო გამოვიდეს.

—შეყვარებულებისთვის ფოთლები ლამაზად მოფარფატებენ დედამიწაზე... ზოგჯერ ამ ფოთლებს წვავენ სხვები.

—ფიქრები ხშირად უფრო სტანჯავთ დიდ ადამიანებს, ვიდრე ჩვეულებრივ მოკვდავთ.

—ხელფასის აღების დღე ჩვეულებრივზე უფრო ლამაზია.

—მთელი ცხოვრების განმავლობაში ვიტანჯებით იმისთვის, რომ ვიცხოვროთ უტანჯველად.

—თავს ვიკლავთ, როგორმე სიბერემდე მივატანოთ, მერე ეს აღარ მოგვწონს.

—პატივმოყვარეობას ერთადერთი ახსნა აქვს—ცუდია!

—მიწისძვრისას წელის ტკივილი ვიღას ახსოვს!

—ბედნიერი ცხოვრების დასამკვიდრებლად დრო არასდროს გვყოფნის.

—როცა ბებრები ვხვდებით ერთმანეთს, ათასი სისულელე გვახსენდება ბავშვობის დროიდან და ეს გვახალისებს.

—როცა დილით ადრე სარკმელს გამოვაღებ, პირველი ის რაც მახარებს გრილი სიო და შუქია მეზობლის ფანჯრებში.

—ადამიანის ყოველდღიურობას ფიქრი ასაზრდოებს.

—ადამიანს პაწია მინდვრის ყვავილიც იზიდავს და მრისხანედ დაუნდობელი უშბაც!

—ღიმილი გახსენებთ, რომ ადამიანი ხართ. ამ სიმდიდრეს ადამიანის გარდა არცერთი სულიერი არ ფლობს.

—მეტაფორა—გამოხატვის მეტი ფორმა!

—სიტყვას შეუძლია აცოცხლოს ან მოკლას!

—ცოცხალ არსებათაგან მხოლოდ ადამიანს აქვს ფანტაზიის უნარი. მხოლოდ მას შეუძლია ესთეტიკური ტკბობის განცდა.

გილოცავთ!

ზედა სიმონეთის საბავშვო ბაღის თანამშრომლები 50 წლის იუბილეს ულოცავენ სოფლის საჯარო სკოლის დირექტორს, ამავე სოფლის მაჟორიტარ დეპუტატს თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, ბატონ **გია ქასრაშვილს.** უსურვებენ ჯანმრთელობას, ოჯახის სიძლიერეს, ულევ სიხარულს და წარმატებულ მომავალს კოლეგებთან ერთად.

კროსვორდი

ბუნება მბრძანებელია



1. რეალურად არსებული, ორგანული და არაორგანული სამყარო. 2. ბუნების დიდი მეგობარი, მებაღე აგრონომი. 3. ჩხარელი აგრონომ-სელექციონერი. 4. სიმღერის—„ტყე შეუნახე შვილებსა“ ავტორი. 5. ნადირობის (თევზაობის) წესების დამრღვევი პირი. 6. ბუნების დიდი მგოსანი. 7. აჯამეთის ტყე როგორია? 8. სახელგანთქმული მინერალური წყალი. 9. დამსახურებული პედაგოგი, ბუნების ქომაგი. 10. იშვიათი ხე, რომელიც საქართველოში ხარობს. 11. საგანგებოდ გამოყოფილი ადგილი იშვიათ ცხოველთა ან მცენარეთა მოსაშენებლად ან დასაცავად. 12. ბალნეოლოგიური კურორტი. 13. ხის ქერქ ქვეშ არსებული მკვრივი ნაწილი. 14. მგალობელი ჩიტი. 15. ეს კაცი არის მებაღეც, სელექციონერიც, იუმორისტიც, პაროდისტიც, ბიზნესმენიც და ... გურულიც.16. ნაყოფიერი ვაკე ადგილი, 17. ცნობილი კურორტი. 18. ეს ცნობილი მდინარე რამდენიმე შენაკადისგან შედგება. ყოველ მათგანს საკუთარი ადგილმდებარეობის მიმნიშნებელი სახელწოდებითაც მოიხსენიებენ...

სათაურისხელა მოთხრობები

გმირები ქმნიან ისტორიას თუ პირიქით?

ერთნი ამბობენ, რომ ასეა, სხვებს კი მიაჩნიათ რომ—ისეა.

ერთი მადლიანი ვინმე არ გამოჩნდა, რომ თქვას: „ასეც არის, და ისეც!“

მოისვენებდა ხალხი.

***

ადრეული ახალგაზრდობის ხანაში, როცა მატარებლის ფანჯრიდან სიმინდის ყანაში მომუშავეებს ვხედავდი—გული მწყდებოდა, რომ დედაქალაქში არ მოემგზავრებოდნენ ჩემთან ერთად „დინამოს“ თამაშის სანახავად.

***

დოსტოევსკი იმდენად ღრმაა, ძნელია სრულად ჩაწვდეთ—ამბობენ დიდ-დიდნი შემფასებლები.

ამ კაი კაცს, ამხელა ნიჭის პატრონს რა იქნებოდა ყველასათვის გასაგებად ეწერა! მაშინ მარადიული კითხვა აღარ „დასტანჯავდა“ თაობებს—„დოსტოევსკი თუ ტოლსტოი?“ „ტოსლტოი თუ დოსტოევსკი?“

***

მხოლოდ ღმერთმა უწყის მემატიანეები როგორი სიზუსტით აღუწერენ მომავალ თაობებს ისტორიის „კუკუდამალობანას“ თავგადასავლებს.

გვერდის ავტორი
ნუგზარ გამყრელიძე

ზურაბ ცირეკიძე ოჯახით იუწყება უახლოესი მეგობრის

გრიგოლ არეშიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ეროვნული საგამოცდო მარათონის კიდევ ერთი წარმატებული

ეროვნული გამოცდებისა და მისი შედეგების „ციებ-ცხელება“ უკვე კარგა ხნის ჩავლილია და ახლა უკვე ბედნიერი სტუდენტური დღეების ათვლაც დაწყებულია. თუმცა, ის ხიბლი და საოცნებო განცდა ნამდვილად ვერ ექნება დისტანციურ ლექციებს და თანაკურსელთა და ლექტორ-მასწავლებელთა ინტერნეტსივრციდან ასევე დისტანციურად ურთიერთგაცნობასა და თვალის შევლებას, როგორც უნივერსიტეტის სალექციო აუდიტორიაში... რას იზამთ, კორონას პანდემია და მისი რეგულაციები „მსხვერპლს მოითხოვს“. ერთი სიტყვით, სწავლა დაწყებულია და ყველა სტუდენტის სურვილია ახლა მან სასწავლო აუდიტორიაში გადაინაცვლოს.

გაიცანით, ეს ქრისტინე ჩიტიძეა

გოგონა, რომელიც „თერჯოლას“ მკითხველებს უნდა გავაცნოთ, წლევანდელი საგამოცდო მარათონის ერთ-ერთი გამარჯვებულია, რომელმაც წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები და თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართლის ფაკულტეტზე ჩაირიცხა, მან ქულათა რაოდენობის მიხედვით სრული სახელმწიფო დაფინანსება ანუ 100%-იანი გრანტი მოიპოვა.

თერჯოლას დღემდე სასიხარულო მოგონებად აქვს ის დღე, როცა ჩხარის №1 საჯარო სკოლაში საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატის მეორე ტური გაიმართა, რომელსაც პროექტის ხელმძღვანელი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი უძღვებოდა.

ინტელექტუალურ თამაშში, რომელსაც თერჯოლის „ეტალონი“ მოსწავლე უნდა გამოევლინა, მონაწილეობდა მუნიციპალიტეტის თითქმის ყველა საჯარო სკოლებში პირველ ტურში გამარჯვებული მოსწავლეები.

ინტერესი დიდია... აქ არიან თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის ხელმძღვანელი მუშაკები, სკოლის დირექტორები და პედაგოგები, განათლების რესურსცენტრის ხელმძღვანელი, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები...

თითქმის არავისთვის იყო მოულოდნელი, როცა „თერჯოლის ეტალონი მოსწავლე“ დაასახელეს და ის მასპინძელი სკოლის წარჩინებული მოსწავლე ქრისტინე ჩიტიძე იყო. დიდი იყო გამარჯვების სიხარული, თუმცა კიდევ უფრო დიდი სიხარული და გამარჯვება წინ იყო...

დიახ, წინ იყო საქართველოს ეროვნული ინტელექტ ჩემპიონატის გრანდიოზული ფინალი, განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროში. ქრისტინე სკოლის და რაიონის ხელმძღვანელებთან ერთად თბილისში გაემგზავრა მონაწილეობის მისაღებად, იყო ღელვა და ემოციები, ბუნებრივია, ჯერ კიდევ წინასწარ გამარჯვების პროგნოზირებას ვერავინ შეძლებდა...

ინტელექტ-ჩემპიონატის დაწყებამდე გოჩა ტყეშელაშვილმა 2018-2019 სასწავლო წლის „თერჯოლის ეტალონ მოსწავლეს“ ქრისტინე ჩიტიძეს გამარჯვება მიულოცა და სკოლის ღირსეულად წარმოჩენისათვის „ოქროს ფონდის“ წევრობის დამადასტურებელი დიპლომი გადასცა.

„ეტალონი“ მოსწავლის აღზრდისათვის „ოქროს ფონდის“ წევრობის დამადასტურებელი დიპლომი კი მის მშობლიურ ჩხარის №1 საჯარო სკოლას გადაეცა.

საქართველოს ეროვნულ ინტელექტ-ჩემპიონატში ქვეყნის მასშტაბით 21 მუნიციპალიტეტის „ეტალონი მოსწავლე“ იბრძვის პირველობისათვის... და გამარჯვებული, თერჯოლელთა საამაყოდ, ქრისტინე ჩიტიძე აღმოჩნდა... ის დღე დაუვიწყარია ქრისტინესთვის და მისი მშობლებისათვის თამარ და ემზარ ჩიტიძეებისათვის, აღმზრდელი ბებოსათვის—გაგალო ჯაბიძისათვის, ასევე მისი უმცროსი დაიკო—მარიამისათვის და ყველა თერჯოლელი გულშემატკივრისათვის.

* * *

ქრისტინემ მიმდინარე წელს ოქროს მედალზე დაამთავრა ჩხარის №1 საჯარო სკოლა. სკოლის დირექტორი კობა ბარდაველიძე და კლასის დამრიგებელი ნელი გიორგაძე მას ახასიათებენ როგორც გამორჩეულ, წარჩინებულ, მიზანდასახულ მოსწავლეს: „წარჩინებულმა სწავლამ ქრისტინეს ჯილდოდ „ჩემი პირველი კომპიუტერი“ მოუტანა. ქრისტინე სკოლაში ყოველთვის გამოირჩეოდა მიზანდასახულობით. არ აკმაყოფილებდა მხოლოდ საპროგრამო მასალა. ეძიებდა, იკვლევდა, აანალიზებდა, გამოჰქონდა შესაბამისი დასკვნები, გამოირჩეოდა არგუმენტირებული მსჯელობით, კრიტიკული აზროვნებით, ერთნაირი მონდომებით სწავლობდა ყველა საგანს, თუმცა განსაკუთრებული ნიჭი და მიდრეკილება ჰქონდა ჰუმანიტარული საგნებისადმი. მისი ჰობი კლასგარეშე ლიტერატურის კითხვასთან ერთად სხვადასხვა რამ იყო...

მეთერთმეტეკლასელი ქრისტინე ჯერ თერჯოლის მუნიციპალიტეტის, ხოლო შემდეგ 21 მუნიციპალიტეტის „ეტალონელი“ გახდა. მისი გამოსვლა განათლების, მეცნიერებისა და სპორტის სამინისტროში, სადაც „ეტალონის“ შედეგების მიხედვით დაჯილდოება გაიმართა იყო ერთ-ერთი საუკეთესო, მაღალი დონის, დამაჯერებელი, საიდანაც კიდევ ერთხელ გამოჩნდა ქრისტინეს წიგნიერება, გაბედულება, აზროვნება და უდიდესი მადლიერება აღმზრდელი მასწავლებლებისადმი.

ქრისტინე არის მრავალმხრივ ნიჭიერი, შემოქმედი გოგონა... წარმატებულ სწავლას კარგად უთავსებდა მუსიკალურ განათლებას, ხატვას, ცეკვა-სიმღერას და ა.შ. მან წარმატებით ითამაშა ოტია იოსელიანის პიესის მიხედვით დადგმულ სპექტაკლ „გამოქვაბულში“ ერთ-ერთი მთავარი როლი და შესანიშნავი აქტიორული ნიჭი გამოავლინა. სკოლა ამაყობს ქრისტინე ჩიტიძის წარმატებით“...

„თერჯოლა“ დაუკავშირდა ქრისტინეს, რომელიც უკვე თბილისში იმყოფება და ვთხოვეთ მკითხველისათვის გაეცნო თავისი თავი, მისი ახლანდელი განცდა და სამომავლო გეგმები, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„პირველ რიგში მოგესალმებით.

საკუთარ თავზე საუბარი არ მიყვარს და ძალიან დიდხანს ვფიქრობდი საიდან, ან როგორ დამეწყო, თუმცა საბოლოოდ მაინც გადავწყვიტე სპონტანური ვყოფილიყავი და რაც პირველი გამახსენდა საკუთარ თავზე ის დამეწერა.

მე ქრისტინა ვარ, სოფელ ჩხარიდან, ეს ის ადგილია, სადაც დავიბადე და გავიზარდე, სადაც კითხვა ჯერ კიდევ სკოლაში შესვლამდე ვისწავლე. როგორც მეუბნებიან, ჯერ კიდევ პატარა ვმღეროდი, ვცეკვავდი და ჩემს ირგვლივ მყოფებს, შეიძლება ითქვას, ვართობდი და ვახალისებდი. ჩემი ინტერესები მუდმივად მრავალმხრივი იყო. არასდროს არ ვკმაყოფილდებოდი ერთფეროვნებით და სულ ვცდილობდი ახალი რამ შემესწავლა. თავდაპირველად ფორტეპიანოზე დაკვრა ვისწავლე და დავამთავრე ჩხარის პირველი სკოლის სამუსიკო სტუდიის შვიდწლედი. შემდეგ ცეკვაზეც დავდიოდი. ასევე დავამთავრე თერჯოლის სამხატვრო სკოლა, თერჯოლის სამუსიკო სკოლაში ვისწავლე გიტარაზე დაკვრაც. ჩემი ინტერესის სფერო მუდმივად იცვლებოდა და ჩემი ყველა აკვიატების განხორციელებაში ბებია მეხმარებოდა. ჩემთვის ჩემი ოჯახის თითოეული წევრი უძვირფასესია, ყველა მათგანზე საუბარი კი შორს წაგვიყვანს, თუმცა ბებიას განსაკუთრებული ამაგი არ შეიძლება რომ არ ვახსენო. ეს ადამიანი ჩემს ყველა სურვილს ასრულებდა და დღემდე ასრულებს.

ბავშვობიდანვე მქონდა ოცნება შორს წავსულიყავი და ბევრისთვის მიმეღწია. ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა კიდევ უფრო დამარწმუნა საკუთარ ძალაში, ძალაში, რომელსაც შეუძლია და შეძლებს კეთილდღეობა მოუტანოს საზოგადოებას.

თავდაპირველად იყო ეტალონი ჯერ თერჯოლის მასშტაბით, შემდეგ კი საქართველოს შუალედურ კონკურსში გავიმარჯვე. სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, გამოცდებშიც უმაღლესი შეფასება დავიმსახურე და 100 პროცენტიანი სახელმწიფო გრანტიც მოვიპოვე, მე ვფიქრობ, რომ ცოდნას რესურსი სჭირდება, რათა განვითარდეს, დაიხვეწოს, მასშტაბური და პროდუქტიული გახდეს:

არ შეიძლება არ ვახსენო ჩემი პედაგოგები, ის ადამიანები, რომლებმაც წვლილი შეიტანეს ჩემს წარმატებაში, მადლობა მათ გაწეული ამაგისათვის.

ამჟამად თსუ სამართლის ფაკულტეტის სტუდენტი ვარ. მომავალში კონკრეტული მიზნები მაქვს, რაზედაც წინასწარ საუბარი არ მსურს, თუმცა ვიტყვი იმას, რომ მინდა ჩემს პროფესიაში ერთ-ერთი საუკეთესო ვიყო. ამასთან ერთად მსურს ჩემი ცოდნა ჩემი თემის განვითარებას მივუძღვნა, მინდა საზოგადოების ირიბად განწყობილ ფენას დავანახო, რომ ერთი ახალგაზრდის სურვილს შეუძლია მასების ცვლილება გამოიწვიოს“.

* * *

ქრისტინა ჩიტიძე იმ ახალგაზრდათა რიცხვშია, ვისი იმედიც ნამდვილად უნდა ჰქონდეს ოჯახს, სკოლას, ქვეყანას. ამაზე მეტყველებს მისი ნააზრევ-ნაფიქრალი თუ წინასწარ განჭვრეტილი მომავალი...

„თერჯოლა“ ულოცავს ქრისტინას დღემდე მის მიერ მოპოვებულ ყველა წარმატებას, მომავალში კი უსურვებს ოცნებებისა და მიზნების ასრულებას...

მზია ცქიფურიშვილი

შპს „თერჯოლა“

გამომცემელი
ვალერიან გოგიაშვილი
599 92 49 75

მთავარი რედაქტორი
დავით კლდიაშვილი
599 91 24 14

სარედაქციო კოლეგია

რეგისტრაციის №53/5/ბ-22

გამოდის თვეში ორჯერ

კორესპონდენტები:
ნ. გამყრელიძე—555 78 08 55
ი. მარუაშვილი—0(491) 22 15 16
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41

ელ-ფოსტა: **gazetiterjola@mail.ru**

აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში

მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის
შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში
ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33

ჩვენი რეკვიზიტები:
„ლიბერთი ბანკი“
LBRTGE22,
ანგარიში
GE32LB0113133960124000
ს/კ 231948872